

თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
2021 წლის 21 თებერვლის დისტანციური სხდომის

ო ქ მ ი N 1

2021 წლის 21 თებერვალს შედგა თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს დისტანციური სხდომა. დისტანციური სხდომის ფორმატში მონაწილე სამეცნიერო საბჭოს წევრები, მთავარი მეცნიერი თანამშრომლები: გიორგი ჭეიშვილი, ლავრენტი ჯანიაშვილი, როლანდ თოფჩიშვილი, მარიამ ჩხარტიშვილი, ქეთევან ხუციშვილი, ნინო მინდაძე, ეკა კვაჭანტირაძე, ლევან გორდეზიანი, ავთანდილ სონღულაშვილი, ლიანა ბითაძე, დოდო ჭუმბურიძე, სალომე ოქრუაშვილი, ვაჟა კიკნაძე, გიორგი ქავთარაძე, ნიკოლოზ ჯავახიშვილი, ელდარ ბუბულაშვილი; ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ვალერიან ვაშაკიძე (კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების გარეშე); ბიბლიოთეკის გამგე შალვა გლოველი (კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების გარეშე); არქივზე პასუხისმგებელი პირი (სპეციალისტი) ნიკოლოზ გურგენიძე (კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების გარეშე); უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ალექსანდრე თვარაძე (კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების გარეშე). საბჭოს დისტანციურ სხდომას ესწრებოდა სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დისტანციური სხდომის დღის წესრიგი, რომელიც მათ წინასწარ ჰქონდათ ელექტრონულად გაგზავნილი:

1. 2020 წლის სამეცნიერო და სხვა სამუშაოთა ანგარიში.
2. 2021 წელს ინსტიტუტში დაგეგმილი ღონისძიებები:
 - ა) ინსტიტუტის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე.
 - ბ) შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კავკასიის კარი - საქართველოს ჩრდილოერთი კარიბჭე.“
 - გ) გრიგოლ ფერაძის საერთაშორისო კონფერენცია, მიძღვნილი დიდგორის 900 წლისთავისადმი.
 - დ) ჯულიეტა რუხაძის საიუბილეო წლისადმი მიძღვნილი ღონისძიება.
 - ე) საუბრები ეთნოლოგიაზე.
 - ვ) გიორგი მელიქიშვილის კითხვანი.
 - ზ) ღონისძიება საქართველოს ოკუპაციის 100 წლისთავთან დაკავშირებით.
3. მიმდინარე საკითხები.

კენჭისყრის შედეგად, დღის წესრიგი ერთხმად იქნა მიღებული.

მოისმინეს:

1. 2020 წლის სამეცნიერო და სხვა სამუშაოთა ანგარიში.

შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების სამეცნიერო მუშაობის ანგარიში

მარიამ ჩხარტიშვილი (განყოფილების ხელმძღვანელი): 2020 წელს, ჩვენი განყოფილებამ შეასრულა წლიური ნაშრომის – „ქართული ერთობის საზღვრები, წარმოსახვა და რეალობა“ (IV– XVIII საუკუნეების ქრონოლოგიურ მონაკვეთში) შესავალი ნაწილი, რომელიც ითვალისწინებდა წყაროთა იდენტიფიკაციას, შესაბამისი თეორიული ლიტერატურის, გარკვეული ნაშრომების მოძიებას. ინტერნეტის საშუალებით მოძიებული იქნა თეორიული ნაწილი, მოხდა წყაროთა იდენტიფიკაცია. ყველა თანამშრომელმა წარმოადგინა ნაშრომი, რომლებიც განხილული იყო განყოფილების სხდომაზე. დასახული ამოცანები შესრულებულია და მუშაობის შემდგომ ეტაპზე გადასასვლელად განყოფილება მზად არის.

გასულ წელს შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების ორგანიზებით, 23 დეკემბერს, დისტანციურ ფორმატში, ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია, რომელშიც ინსტიტუტის თანამშრომლების გარდა მონაწილეობდნენ სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებიც. დაიბეჭდა მოხსენებებთა თეზისები.

2020 წელს გამოვიდა განყოფილების სამეცნიერო კრებულის მორიგი ნომერი – „ქართული წყაროთმცოდნეობა“ XXII, რომლის პრეზენტაცია, დისტანციურ ფორმატში 22 თებერვალს გაიმართება. კრებულში დაბეჭდილია არა მარტო ჩვენი განყოფილების თანამშრომელთა, არამედ სხვა ავტორთა სტატიებიც.

რაც შეეხება ინდივიდუალურად, ჩვენი განყოფილების წევრების მიერ შესრულებულ პუბლიკაციებს: წელს გამოქვეყნდა ვახტანგ გოილაძის მონოგრაფია, ორ ათეულამდე სამეცნიერო პუბლიკაცია, როგორც სამეცნიერო კრებულებში, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების მასალებში, პუბლიკაციები კოლექტიურ მონოგრაფიაში. გამოქვეყნებულია საკონფერენციო თეზისები. თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში; შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ საგრანტო კვლევით პროექტში და ინსტიტუტის საკონფერენციო გრანტში. ჩვენი განყოფილება აქტიურად არის ჩართული ინსტიტუტის პერიოდული გამოცემების სარედაქციო მუშაობაშიც.

ლავრენტი ჯანიაშვილი: დასაფასებელია, რომ ამ პირობებში შეძლო განყოფილებამ შეესრულებინა გეგმით გათვალისწინებული წლიური თემები და სხვა აქტივობები.

წინადადება შემომაქვს, თავდაპირველად მოვისმინოთ ბიბლიოთეკის გამგის, შალვა გლოველის, საარქივო ფონდის პასუხისმგებელი პირის, ნიკოლოზ გურგენიძისა და ინსტიტუტის სამეცნიერო ჟურნალ „ქრონოსის“ რედაქტორის, ალექსანდრე თვარაძის, მიერ წარმოდგენილი, 2020 წელს შესრულებულ სამუშაოთა ანგარიშები.

ბიბლიოთეკის მუშაობის ანგარიში

შალვა გლოველი (ბიბლიოთეკის გამგე): მიუხედავად შექმნილი რთული ვითარებისა ბიბლიოთეკა გასულ წელს მუშაობდა და მიმდინარე წელსაც მუშაობს. ორშაბათი არის ბიბლიოთეკის დღე.

2020 წელს ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში მიმდინარეობდა შემდეგი ტიპის სამუშაოები:

➤ **ახალი ერთეულების მიღება:**

2020 წელს ბიბლიოთეკაში შემოსული ახალი ერთეულები განაწილდა შემდეგ ფონდებში: ქართულენოვანი წიგნები, კერძო კოლექციები, ქართულენოვანი პერიოდული გამოცემები, სარეზერვო ფონდი.

ბიბლიოთეკაში შემოვიდა 200-ზე მეტი ერთეული (მათ შორის ბიბლიოთეკას შეემატა ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ყოფილი თანამშრომლის - ეთნოლოგ ვალერიან ითონიშვილის პირადი წიგნები). გარდა ამისა, გასულ წელს ბიბლიოთეკას ინსტიტუციურად კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა გადმოსცა 260 ერთეული (აღრიცხულია სარეზერვო ფონდში).

➤ **კატალოგიზაცია:**

აღიწერა ვ. ითონიშვილის შემოწირული წიგნები და მონაცემები შედის საინვენტარო კატალოგში (მიმდინარე პროცესი); ბიბლიოთეკის სხვა ფონდებში 2020 წელს შემოსული ყველა ახალი ერთეულის მონაცემი შევიდა საინვენტარო ნუსხა-კატალოგში და დამუშავდა ერთეულები ტექნიკური თვალსაზრისით.

➤ **მკითხველთა მომსახურება:**

მიუხედავად ქვეყანაში არსებული პანდემიისა 2020 წელს საბიბლიოთეკო ფონდების მკითხველებზე ბრუნვამ შეადგინა - 140 ერთეული; მკითხველზე გაიცა - 81 ერთეული, ბიბლიოთეკაში დაბრუნდა - 59 ერთეული.

2020 წლის ბოლოს, წლის ყველაზე აქტიური მკითხველი - ალექსანდრე თვარაძე, თსუ პროფესიული კავშირის ფინანსური მხარდაჭერით, დაჯილდოვდა გამოცემით - „მსოფლიოს ისტორიის ენციკლოპედია“.

გაიმართა მსჯელობა, **აზრი გამოთქვას**: გიორგი ჭეიშვილმა, მარიამ ჩხარტიშვილმა, ქეთევან ხუციშვილმა.

გიორგი ჭეიშვილი: სარეზერვო ფონდიდან სოფლის ბიბლიოთეკებს თუ შეგვიძლია გადავცეთ წიგნები?

შალვა გლოველი: სარეზერვო და გაცვლითი ფონდებიდან შეიძლება გადაეცეს. ეს ფონდები იურიდიულად არის არა საბიბლიოთეკო, არამედ საინსტიტუტო, შესაბამისად, ინსტიტუტმა უნდა გადაწყვიტოს როგორ განკარგოს ეს წიგნები.

გიორგი ჭეიშვილი: მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების შესახებ რას გვეტყვი?

შალვა გლოველი: გადავამოწმე და არის ჩამოწერილი, არსებობს შესაბამისი აქტებიც, რომელიც ბულალტერიამ გადმომცა. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა დაგვპირდა, რომ შეიქმნებოდა კომისია, რომელიც გადაწყვეტდა ჩამოწერილი წიგნების ბედს, მაგრამ ჯერ ვერ ხერხდება, მაკულატურაში ჩაბარებასაც თავისი წესები აქვს.

ქეთევან ხუციშვილი: რადგან განყოფილებების კრებულები ინსტიტუტმა დააფინანსა, როგორ უნდა მოხდეს განაწილება?

გიორგი ჭეიშვილი: კრებულებთან დაკავშირებით ვფიქრობთ, ყველა ავტორს ეკუთვნის საავტორო ცალეები, ბიბლიოთეკამ უნდა დაიტოვოს განსაზღვრული ერთეულები, მაქსიმალურად უნდა დავარიგოთ სხვა ბიბლიოთეკებში.

სამეცნიერო ჟურნალ „ქრონოსის“ სარედაქციო კოლეგიის ანგარიში

ალექსანდრე თვარაძე (მთავარი რედაქტორი): 2020 წელს წელს გამოვიდა ინსტიტუტის პერიოდული გამოცემის - ჟურნალ „ქრონოსის“ პირველი ნომერი, რომელიც შედგება ისტორიის, ეთნოლოგიის, ფიზიკური ანთროპოლოგიის, არქეოლოგიის, ხელოვნების ისტორიის, საარქივო მასალების გამოცემის და მეცნიერის გახსენების განყოფილებებისგან. ჟურნალის ელექტრონული ვერსია განთავსდა ინსტიტუტის ვებ-გვერდზე, ხოლო ბეჭდური მასალა მიეწოდება ავტორებს, რედაქციის წევრებს, ბიბლიოთეკებსა და სამეცნიერო ცენტრებს.

2020 წელს, რედაქციის შემოსული სტატიების რეცენზირების შემდეგ, დასაბეჭდად შეირჩა შესაბამისი ნაშრომები. მადლობას მოვახსენებ ჟურნალის რედაქციის წევრებს, ინსტიტუტის თანამშრომლებს სტატიების რეცენზირებისთვის, ხოლო შემდეგ - სტატიების კორექტირებისთვის.

გასული წლის ნოემბერში გამოცხადდა სტატიების მიღება „ქრონოსის“ მეორე ნომრისთვის. სტატიების მიღების ბოლო ვადა არის 2021 წლის 1 ივნისი. სტატიების შემოსვლის შემდეგ დაგეგმილია რეცენზირება 2021 წლის 1 ივნისიდან 1 ივლისამდე. ინფორმაცია სტატიების მიღების შესახებ მიეწოდა სამეცნიერო დაწესებულებებს, სამეცნიერო ცენტრებს, უნივერსიტეტებს.

დავუკავშირდით ჟურნალის რედაქციის უცხოელ წევრებს, ვთხოვეთ მათ რჩევები, წინადადებების მოწოდება ჟურნალის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით. ქალბატონმა ანეგრეტ ლუნინგმა გამოთქვა მოსაზრება, რომ სასურველია, სტატიების ინგლისური რეზიუმე იყოს უფრო ვრცელი, რაც საშუალებას მისცემს უცხოელ სპეციალისტებს სრულყოფილად გაეცნონ გამოქვეყნებული სტატიების შინაარსს და შედეგებს. ვუკავშირდებით უცხოეთში მოღვაწე იმ მეცნიერებს, ვინც დაინტერესებულია ქართველოლოგიის საკითხებით. მინდა გთხოვოთ მოგვაწოდოთ რჩევები, წინადადებები ჟურნალის სამომავლო განვითარებასთან დაკავშირებით.

გაიმართა მსჯელობა, **აზრი გამოთქვეს:** ვაჟა კიკნაძემ, მარიამ ჩხარტიშვილმა, ვალერიან ვაშაკიძემ.

ვაჟა კიკნაძე: როგორია თანაფარდობა ჟურნალში ჩვენი თანამშრომლებისა და სხვა სამეცნიერო ცენტრებში მოღვაწე მეცნიერთა სტატიებს შორის?

ალექსანდრე თვარაძე: ჟურნალ „ქრონოსის“ პირველ ნომერში სულ დაიბეჭდა 18 სტატია. ისტორიის განყოფილებაში არის 7 სტატია, აქედან 3 სტატია არის გარედან შემოსული; ეთნოლოგიის განყოფილებაში არის 2 სტატია, ორივე ინსტიტუტის თანამშრომლების; ფიზიკურ ანთროპოლოგიაში არის 1 სტატია ინსტიტუტის თანამშრომელთა თანაავტორობით; არქეოლოგიის განყოფილებაში არის 4 სტატია, ოთხივე არის შემოსული; ხელოვნების ისტორიაში არის 1 სტატია, ასევე შემოსული; მეცნიერის არქივიდან რუბრიკაში არის გარედან შემოსული 1 რეცენზია; მეცნიერის გახსენების რუბრიკაში 2 სტატიაა, ერთი ინსტიტუტის თანამშრომლის, ერთიც შემოსული. 18 სტატიიდან 13-ის ავტორი არ არის ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომელი.

ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილების სამეცნიერო მუშაობის ანგარიში

ლევან გორდეზიანი (განყოფილების ხელმძღვანელი): ქვეყანაში არსებულმა Covid-19 პანდემიამ ძალიან დაგვაზარალა. ერთობლივი მუშაობის სახე არ ჰქონდა ჩვენ წლებადღელ საქმიანობას, ერთადერთი ვალერიან ვაშაკიძე იყო ჩართული ინსტიტუტის ყველა საქმეში. განყოფილების წევრები შეძლებისდაგვარად ვმუშაობდით წარმოდგენილი გვაქვს წლიური თემები. იყო გარკვეული საერთაშორისო აქტივობა, საკმაოდ მრავალფეროვანი, ანგარიშები წარმოდგენილია. მიუხედავად ამ მძიმე წლისა ვერ ვიტყვი, რომ ჩვენმა შრომამ ფუჭად ჩაიარა. რაც შეეხება წლიურ თემებს, მინდა პატარა განმარტება გავაკეთო, იქიდან გამომდინარე, როგორ გადავინაწილეთ საქმე და რა იყო შესასრულებელი, საკმაოდ განსხვავებულია წარმოდგენილი თემები. ბატონ გიორგი ქავთარაძეს დაეკისრა, საქართველოს ჩრდილო საზღვარი შეესწავლა, აღმოჩნდა, რომ ძველ სამყაროში ცივილიზაციასა და ბარბაროსობას შორის საზღვარიც იყო და მიმაჩნია, რომ ძალიან საინტერესო ქვეპროექტი გამოვიდა ჩვენი დიდი პროექტის ფარგლებში. რაც შეეხება განყოფილების დანარჩენ წევრებს, სამხრეთი საზღვრის შესწავლა ცოტა სხვა ვითარებაა, ეს მასალა იყო აღსაწერი, შესაფასებელი და იქიდან გამომდინარე ვის რა მასალასთან გვქონდა საქმე, არის წარმოდგენილი. ბატონ ვალერიან ვაშაკიძეს და ნანა ბახსოლიანს აქვთ მიმოხილვა ანტიკური წყაროებისა და ცალკეული პრობლემების, რაც ანტიკურ წყაროებში საზღვრის შესწავლას ეხება, ხოლო ჩემ შემთხვევაში, ეს არის აღმოსავლური წყაროები, გაკეთებულია მოკლე თეორიული შესავალი, სადაც ვცდილობ ვთქვა, რომ მიუხედავად იმისა რომ, არც სიტყვა საქართველო არსებობდა და არც საზღვარი, მაინც გვაქვს უფლება რომ იქ საქართველოს საზღვრები ვეძებოთ, მოტანილია ტექსტები, წარმოდგენილია ლიტერატურის ნუსხა, რასაც დაეფუძნება ჩვენი კვლევა. ეს არის პირველ რიგში, ჩვენი მასწავლებლების და ცნობილი მეცნიერების ნაშრომები ამ მიმართულებით, ასევე რაც გაკეთებულია შემდეგ თაობებში. მიმაჩნია, რომ სასტარტო ეტაპი განყოფილებაში შესრულდა და გვაქვს სრული მზაობა გავაგრძელოთ სამუშაო.

კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების სამეცნიერო მუშაობის ანგარიში

როლანდ თოფჩიშვილი (განყოფილების ხელმძღვანელი): ჩვენი განყოფილების შესასწავლი პრობლემა არის ქართველთა ურთიერთობა ჩრდილო–დასავლეთის ხალხებთან, მომდევნო წელს იქნება ცენტრალური კავკასიის ხალხებთან, შემდეგ ჩრდილო–აღმოსავლეთ კავკასიის ხალხებთან და ა. შ. განაწილებულია პრობლემები. ეს პრობლემებია ეთნიკური ურთიერთობისა და მიგრაციის პრობლემები, მატერიალური კულტურის სფეროში ურთიერთობები, ურთიერთობები სამეურნეო კულტურის სფეროში, სოციალურ ურთიერთობები ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან და აგრეთვე სულიერი კულტურის სფეროში და საზღვრის საკითხი ფოლკლორში. მინდა აღვნიშნო ნათია ჯალაბაძის შესრულებული თემა, ქართულ–აფხაზური ურთიერთობების მიმართებით, ვფიქრობ, ერთ–ერთი საუკეთესო ნაშრომი შეგვემატა. განყოფილება წელს განსაკუთრებით მუშაობდა საგრანტო პროექტზე „თრუსო, ისტორიული და ეთნოისტორიული პრობლემები“, რომელიც დააფინანსა შ. რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა. ეს იყო ერთწლიანი პროექტი, რომელშიც განყოფილების 4 თანამშრომელი იყო დაკავებული. გვყავდა 3 გარე თანამშრომელი, მოვაწყვეთ ექსპედიცია თრუსოს ხეობაში, ვიყავით ყველა ნასოფლარში, აგრეთვე მოსაზღვრე ხევის სოფლებში, ჩავიწერეთ მასალები, ფოტოები იქნა გადაღებული და ვფიქრობ, საინტერესო წიგნი გამოვიდა, ითარგმნება ინგლისურად, და მალე, პირველ კვარტალში გამოიცემა. გვინდა მოვიპოვოთ თანხა, რომ რუსულ ენაზეც შევძლოთ გამოცემა, რადგან ბევრ სიცხადეს შეიტანს ქართულ–ოსურ ურთიერთობების კვლევის საქმეში. ნათია ჯალაბაძე და ლავრენტი ჯანიაშვილი იყვნენ ჩართულნი სხვა საგრანტო პროექტებში, რომლებიც აგრეთვე შ. რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა დააფინანსა. ნათია ჯალაბაძემ საერთაშორისო კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა ონლაინ ფორმატით. დაიბეჭდა აგრეთვე განყოფილების პერიოდული გამოცემა „კავკასიის ეთნოლოგიური კრებული“ XX, რომელიც მიემდგვნა ქალბატონ თინა ოჩიაურის ხსოვნას. აქ ძირითადად, დაბეჭდილია ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომელთა ნაშრომები, აგრეთვე სხვა მეცნიერებისაც. მინდა თრუსოს საგრანტო პროექტთან დაკავშირებით აღვნიშნო: მართალია სოლიდური ნაშრომი გამოვიდა, მაგრამ ავტორთა კოლექტივი მაინც უკმაყოფილოა იმით, რომ არ მოგვეცა საშუალება ცენტრალურ არქივში მუშაობის, პანდემიამ ძალიან შეგვიშალა ხელი. დაიბეჭდა ჩემი ორი წიგნი. მეტ–ნაკლებად ყველა თანამშრომელს აქვს დაბეჭდილი ნაშრომები. მინდა განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილო სალომე ოქრუაშვილის ნაშრომზე, რომელიც ეროვნულმა ბიბლიოთეკამ დაბეჭდა, „აფხაზურ–ქართული ეთნოგრაფიულ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი“, ეს არის მონაპოვარი, არა მარტო ჩვენი განყოფილების, ჩვენი ეთნოლოგების, არამედ ჩვენი ინსტიტუტის. ალბათ, წელს უკეთესი წლიური თემები გვექნებოდა რომ განგვეხორციელებინა ექსპედიცია სვანეთში, მაგრამ კვლავ პანდემიის გამო ვერ შევძელით წასვლა.

გაიმართა მსჯელობა, **აზრი გამოთქვას:** ლავრენტი ჯანიაშვილმა, სალომე ოქრუაშვილმა.

ლავრენტი ჯანიაშვილი: ჩვენ განყოფილებაში, მიუხედავად შექმნილი რთული ვითარებისა, რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოკლევა დაიდო, და იმედი მინდა გამოვთქვა, რომ წელს მუშაობის პირობები უკეთესი პირობები გვექნება.

ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების სამეცნიერო მუშაობის ანგარიში

ავთანდილ სონღულაშვილი (განყოფილების ხელმძღვანელი): განყოფილებაში ონლაინ ფორმატით ტარდებოდა სხდომები 4 დეკემბრიდან 21 დეკემბრის ჩათვლით ყოველ ოთხშაბათს და პარასკევს. სხდომაზე ორი მომხსენებელი გამოდიოდა. განყოფილებაში ვართ 13 თანამშრომელი. რა თქმა უნდა იყო სირთულე, რადგან რთული იყო წყაროების და ლიტერატურის მოძიება. ყველა თანამშრომელმა შეძლებისდაგვარად მაღალ დონეზე წარმოადგინა თემები. გვაქვს ყველა სხდომის ჩანაწერი. ყველა ნაშრომი ჩაითვალია შესრულებულად. გარდა წლიური ნაშრომებისა, გასულ წელს განყოფილების თანამშრომლებმა გამოაქვეყნეს 25 ნაშრომი. აქედან სამი მონოგრაფიაა. მონაწილეობა მიიღეს 15 კონფერენციაში, აქედან 5 საერთაშორისო კონფერენციაში. 2020 წელს გამოვიდა განყოფილების კრებულის მორიგი ნომერი „**ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები**“ 1 (24). მინდა მაღლობა მოვახსენო დირექციას ხელშეწყობისა და კრებულის დაფინანსებისათვის. სასურველი იქნება, რომ წლიური ნაშრომები რომლებიც შეფასდება მაღალ დონეზე, გამოქვეყნდეს. წელს უკვე იქნება ასეთი წლიური თემები წარმოდგენილი ჩვენი კრებულის მომავალ ნომერში. გვქონდა ძალიან მრავალფეროვანი დისკუსიები, იყო რადიოთი გამოსვლები, ტელევიზიით. ბევრ ჩვენ თანამშრომელს ჰყავს დოქტორანტები, მათი ხელმძღვანელობით გასულ წელს დაიცვეს სადოქტორო დისერტაციები. არიან ნაშრომების რედაქტორები, რეცენზენტები. ასე რომ, მინდა ჩვენი განყოფილების მუშაობა დადებითად შევაფასო.

საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილების სამეცნიერო მუშაობის ანგარიში

ქეთევან ხუციშვილი (განყოფილების ხელმძღვანელი): მოგეხსენებათ, საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილებაში არის 10 წევრი. წელს ათივე თანამშრომლის მიერ შესრულდა წლიური გეგმით გათვალისწინებული ნაშრომები. ყველა ნაშრომი დასრულებულია, მოცულობაც საკმაოდ შთამბეჭდავია და მინდა გითხრათ, რომ მიუხედავად სიძნელებებისა, არქივების ხელმიუწვდომლობა, ბიბლიოთეკების დახურვა და ა. შ. მე ვთვლი, რომ ჩვენმა თანამშრომლებმა წარმატებით გაართვეს თავი ამ ვითარებას. მიუხედავად ქვეყანაში არსებული შეზღუდვებისა, ჩვენმა განყოფილებამ შეძლო და ჩაატარა ექსპედიცია ხევში და მუშავდება ის მასალა, რაც ექსპედიციის განმავლობაში იქნა შეგროვებული. ძალიან მნიშვნელოვანი საქმე გაკეთდა ჩვენი განყოფილების ბაზაზე. მაღლობა მინდა გადავუხადო ინსტიტუტის დირექციას ჩვენი განყოფილების კრებულის - „**მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის**“ დაფინანსებისათვის. განყოფილების წევრებმა გადავწყვიტეთ აღგვედგინა ის ტრადიცია,

რაც განყოფილებაში არსებობდა და გამოვეცით 27-ე ნომერი. რედკოლეგია საერთაშორისოა. პირველი ნომერი სრულად ჩვენი განყოფილების თანამშრომლების სტატიებით არის წარმოდგენილი. მეორე ნომრისთვის, მარტის დასაწყისში გამოვაცხადებთ სტატიების მიღებას. ამ კრებულის გარდა, ჩვენი თანამშრომლების პუბლიკაციები სტატიების სახით წარმოდგენილია 18 ერთეული. ყველა თანამშრომელს აქვს გამოქვეყნებული სხვადასხვა კრებულებში ნაშრომები. რაც შეეხება საკონფერენციო მუშაობას, მიუხედავად იმისა, რომ ონლაინ გვიხდებოდა ურთიერთობა, ჩვენმა თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს 9 კონფერენციაში, რომელიც საქართველოს მასშტაბით ჩატარდა და 4 საერთაშორისო კონფერენცია, რომელთა მასალებიც იბეჭდება. 2020 წელს გვქონდა ორი პუბლიკაცია საერთაშორისო ჟურნალებში. ჩვენი 6 თანამშრომელი განყოფილებიდან დაკავებული იყო ექვს საგრანტო პროექტში, რომელთაგან 3 საერთაშორისო იყო. ეს მიმდინარე პროექტებია, და თავისთავად ცხადია, ამასაც მოყვება პუბლიკაციები. ჩვენი თანამშრომლები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საჯარო დისკუსიებში, იყო გამოსვლები, მათ შორის სატელევიზიო, ასევე საჯარო ლექციები და საერთაშორისო ლექციები, რომელსაც საერთაშორისო აუდიტორია ესწრებოდა. ეს ყველაფერი ასახულია ჩვენ მიერ წარმოდგენილ 2020 წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიშში.

ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში

ლიანა ბითაძე (ლაბორატორიის ხელმძღვანელი): ლაბორატორიაში ვართ 4 თანამშრომელი, აქედან 1 შტატი არის ლაბორანტის, 3 სამეცნიერო, მაგრამ ჩვენი ლაბორანტი არის დოქტორანტიც და ჩართულია სამეცნიერო მუშაობაში. წელს რამდენიმე საინტერესო ნაშრომი გამოქვეყნდა. მონაწილეობა მივიღეთ საერთაშორისო კონფერენციაში „დავით გარეჯი“, პუბლიკაციები დაიბეჭდა კონფერენციის მასალებში. ამერიკის მეცნიერებათა აკადემიის გამოცემაში დაიბეჭდა პუბლიკაცია, რომელიც ეხება შავი ჭირის გავრცელებას ევროპაში, ისტორია და კომპლექსური კვლევა. მრავალი წლის წინ იყო აქედან მასალა წაღებული. ჩვენ დავწერეთ ამ მასალის ანთროპოლოგიური დახასიათება. ერთ ინდივიდს, XXI-XXII საუკუნის აკლდამიდან მოპოვებული მასალიდან აღმოაჩნდა შავი ჭირი. ამ ნაშრომისთვის სამი გენეტიკური ლაბორატორია მუშაობდა, გამოიყო დნმ კბილიდან. საინტერესოა, რომ ამ მასალამ დაამტკიცა ევროპაში შავი ჭირის ბოლო გავრცელება არ იყო მხოლოდ ევროპიდან, და მოხდა კავკასიიდანაც. გვაქვს გამოქვეყნებული ნაშრომი ჟურნალ „ანალებში“ და ა. შ. დავით ჭითანავას აქვს კარგი შედეგი, იგი მუშაობდა შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტზე, რომელიც დაასრულა. მან გამოაქვეყნა ერთი მონოგრაფია კოლხურ გვარ-სახელებთან დაკავშირებით და გვაქვს ერთობლივი ორი პუბლიკაცია ჟურნალ „ანალებში“. მონაწილეობა მივიღე საერთაშორისო სამეცნიერო ონლაინ კონფერენციაში ყაზახეთში.

ისტორიული და ეთნოლოგიური საარქივო ფონდის მუშაობის ანგარიში

ნიკოლოზ გურგენიძე (არქივზე პასუხისმგებელი პირი): ტექნიკური ხარვეზის გამო, ანგარიშის წარმოდგენა ვერ მოხერხდა ზუმის ფორმატში.

სხდომის მსვლელობისას ნ. გურგენიძე ტელეფონით დაუკავშირდა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს, რომელმაც საბჭოს მოკლედ გააცნო მისი ანგარიში.

ლავრენტი ჯანიაშვილი: 2020 წელს ინსტიტუტის საარქივო ფონდში სამუშაოები მიმდინარეობდა სხვადასხვა მიმართულებით:

I. საარქივო მასალების გამოყენება:

- ა) **მომსახურება:** გასულ წელს საარქივო მასალებით ისარგებლეს ინსტიტუტის თანამშრომლებმა, უნივერსიტეტის სტუდენტებმა და დოქტორანტებმა, სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულების მეცნიერ-თანამშრომლებმა და მკვლევრებმა.
- ბ) **გამოყენება და პოპულარიზაცია:** გასულ წელს, ჩვენ ხელთ არსებული მასალები გამოყენებული იქნა მნიშვნელოვან სამეცნიერო პროექტებსა და გამოცემებში: 1. კონსერვატორიის პროფესორ დავით შულღიაშვილის მიერ გამოცემულ წიგნში შესულია ინსტიტუტში დაცული აუდიო ჩანაწერი; 2. გამომცემლობა „არტანუჯს“ მივაწოდეთ მათ მიერ დაგეგმილი სერგი მაკალათიას ნაშრომების აკადემიური გამოცემისათვის საჭირო ფოტოები; 3. აშშ-ს საელჩოს მიერ გამოცხადებულ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საგრანტოს კონკურში ორი სამეცნიერო პროექტი იქნა წარდგენილი; 4. საერთაშორისო პროექტის - „მეცნერება კაპიტანია“, ფარგლებში ინსტიტუტმა წარმოაჩინა არქივში დაცული ფონდები და საკოლექციო ნიმუშები.

II. დიגיტალიზაცია- კონსერვაცია: პანდემიით გამოწვეული მდგომარეობის გამო, წელს შეჩერებული იყო საარქივო მასალების დამუშავება. ძირითადი აქცენტი გადატანილი იყო მომხმარებელთათვის არსებული მასალების მიწოდებასა და არქივის ახალი ფონდებით შევსებაზე.

III. ახალი ფონდებით შევსება: 2020 წელს ინსტიტუტის ისტორიულ და ეთნოლოგიურ საარქივო ფონდს საჩუქრად გადაეცა ყოფილი თანამშრომლების, ეთნოლოგების: ჯულიეტა რუხაძის, ვახტანგ და ვალერიან ითონიშვილების პირადი საარქივო მასალები. ამასთანავე, განყოფილებამ საჩუქრად მიიღო თეიმურაზ ბარნაველის ფოტო ნეგატივები. მიმდინარეობს მათი პირველადი საარქივო აღწერის სამუშაოები.

ლავრენტი ჯანიაშვილი: ვთხოვთ ინსტიტუტის დირექტორს, გიორგი ჭეიშვილს, შეაფასოს ინსტიტუტის განვლილი წლის მუშაობა.

გიორგი ჭეიშვილი: მიუხედავად პანდემიისა, 2020 წლისთვის ინსტიტუტის წინაშე დასახული ამოცანები შესრულებულია. შეიძლება იმ რაოდენობით არა, როგორც წინა წლებში, მაგრამ ძალიან სერიოზული შედეგი არის მიღებული. მინდა ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო ყველა თქვენთაგანს გაწეული შრომისათვის. მინდა შეგახსენოთ, რომ სამომავლოდ გაითვალისწინოთ რასაც ითხოვს ჩვენი შემმოწმებელი კომისია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიიდან, რომ პუბლიკაციები უნდა პასუხობდეს წლიურ თემებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემფასებლები ჩაგვითვლიან მუშაობის ნაკლად. თუ შეიძლება, თანამშრომლებს ამის შესახებ შეატყობინეთ.

ლავრენტი ჯანიაშვილი: შევაფასოთ 2020 წელს ჩვენი ინსტიტუტის სამეცნიერო და არასამეცნიერო მუშაობის ანგარიში. ვუყაროთ კენჭი, ვინ არის მომხრე, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის, 2020 წელს ჩატარებული სამეცნიერო და სხვა საქმიანობა შეფასდეს დადებითად.

ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე – 16 წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის, 2020 წელს ჩატარებული სამეცნიერო და სხვა საქმიანობა შეფასდეს დადებითად.

მოისმინეს:

2. 2021 წელს ინსტიტუტში დაგეგმილი ღონისძიებები:

ა) ინსტიტუტის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე.

ლავრენტი ჯანიაშვილი: 2021 წელს დაგეგმილი გვაქვს რამდენიმე ღონისძიების ჩატარება. ნაწილი ამ ღონისძიებებისა ჩვენი წინა შეხვედრების დროს დავგეგმეთ. მოგეხსენებათ, მიმდინარე წელს ინსტიტუტს დაარსებიდან 80 წელი უსრულდება. ვთხოვთ, ბატონ ავთანდილ სონღულაშვილს, მოგვახსენოს რა ვითარებაა ამ მიმართულებით.

ავთანდილ სონღულაშვილი: ჩვენი ერთ-ერთი შეხვედრის დროს, ჩამოვყალიბდით, რომ ინსტიტუტის დაარსების 80 წლისთავისადმი მიგვეძღვნა საიუბილეო ღონისძიება, თუმცა არ დავგიგეგმია, როდის ვაპირებთ ჩატარებას. ვფიქრობ, მისი მომზადება და ჩატარება დიდი პრობლემა არ იქნება. სასურველი იქნება, რომ ყველა განყოფილებამ, მათი შექმნის მოკლე ისტორიული ექსკურსი წარმოადგინოს. განყოფილების ისტორიული წარსული, ვინ მუშაობდა, რა თემატიკაზე. მოხსენებები, რა თქმა უნდა, სხვა თემატიკაზეც იქნება წარმოდგენილი. უნდა შევთანხმდეთ ფორმატზე, ერთდღიანი

იქნება, თუ ორდლიანი. ახლავე შეიძლება შევთანხმდეთ, როდის ჩავატაროთ და რა ფორმატში.

გაიმართა მსჯელობა, **აზრი გამოთქვას**: ქეთევან ხუციშვილმა, გიორგი ჭეიშვილმა, ლავრენტი ჯანიაშვილმა, ლევან გორდეზიანმა, ვალერიან ვაშაკიძემ.

დაადგინეს: ინსტიტუტის დაარსებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიება ჩატარდეს 2021 წლის შემოდგომაზე, ოქტომბრის თვეში. დაევალოს ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელს, ბატონ ავთანდილ სონდულაშვილს, სამეცნიერო საბჭოს მომდევნო სხდომაზე წარმოადგინოს, ღონისძიების ჩატარების სავარაუდო გეგმა-პროექტი.

ბ) შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კავკასიის კარი - საქართველოს ჩრდილოეთი კარიბჭე.“

ლავრენტი ჯანიაშვილი: ვთხოვოთ ბატონ ვალერიან ვაშაკიძეს მოგვახსენოს რა ვითარებაა ამ მიმართულებით.

ვალერიან ვაშაკიძე: მოგეხსენებათ, კონფერენციის ჩატარება დაგეგმილია მიმდინარე წლის 24-26 ივნისს. აქტიური ურთიერთობა გვაქვს პოტენციურ მოხსენებათა ავტორებთან. ჩატარდება თუ არა ეს კონფერენცია, დიდად არის დამოკიდებული მათ აქტიურობაზე, რომელთაც თავის დროზე, თანხმობა განაცხადეს კონფერენციაში მონაწილეობის მიღებაზე. ამიტომ გთხოვთ, დროულად წარმოადგინეთ მოხსენებები. ჩვენ გვინდა, 1 მაისამდე გვქონდეს მასალა, რადგან უნდა ითარგმნოს და გამოიცეს, როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე. შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდიდან იყო წინადადება, პანდემიის გამო, კონფერენციის კვლავ გადადების შესახებ, ვნახოთ. ვფიქრობთ, ამ დროისათვის, მოხერხდება კონფერენციის ჩატარება. უცხოელები, რომლებიც ვერ მოახერხებენ ჩამოსვლას, ჩაერთვებიან ონლაინ რეჟიმში.

გ) გრიგოლ ფერაძის საერთაშორისო კონფერენცია, მიძღვნილი დიდგორის 900 წლისთავისადმი.

ლავრენტი ჯანიაშვილი: მოგეხსენებათ, ჩვენ პოლონელ კოლეგებთან ერთად, დაგეგმილი გვაქვს, რომ საქართველოში (შესაბამისად პოლონეთშიც) ყოველ მეორე წელს ჩატარდეს გრიგოლ ფერაძის საერთაშორისო კონფერენცია. გასულ წელს, პანდემიის გამო, პოლონელებმა ვერ შეძლეს კონფერენციის ჩატარება, ისინი ოქტომბრის თვეში აპირებენ ღონისძიების ჩატარებას. მათი წინადადებაა, რომ კონფერენცია, რომელიც მიეძღვნება დიდგორის 900 წლისთავს, საქართველოში სექტემბრის თვეში ჩატარდეს. მონაწილეობის მიღების სურვილი გამოუთქვამს სამხედრო აკადემიას. იმისათვის რომ

ღონისძიება წარმატებით ჩატარდეს საჭირო იქნება ორგანიზება. ვის შეიძლება დავავალოთ ამ საქმის ორგანიზება?

გაიმართა მსჯელობა, **აზრი გამოთქვს:** გიორგი ჭეიშვილმა, ლავრენტი ჯანიაშვილმა, მარიამ ჩხარტიშვილმა, ლევან გორდეზიანმა, ქეთევან ხუციშვილმა, ვალერიან ვაშაკიძემ.

გიორგი ჭეიშვილი: რადგან გრიგოლ ფერაძის კონფერენცია დიდგორის 900 წელს მივუძღვენით, გვინდა ფოკუსირებული იყოს გარკვეულ პერიოდზე. გვინდა ეს იყოს უფრო მედიევისტური და დავითის ეპოქაზე ფოკუსირებული. როგორც საორგანიზაციო ჯგუფის გადაწყვეტილების შესაბამისად, შეიძლება მისი კორექტირება. შესაძლებელია კონფერენციის ჩატარება ონლაინ რეჟიმშიც.

ლავრენტი ჯანიაშვილი: საჭიროა ადამიანთა ჯგუფი, ხელმძღვანელი, რომელიც ამ კონფერენციის ორგანიზებას მოახდენს.

ლევან გორდეზიანი: ძალიან ბევრი დაგეგმილი კონფერენცია, ზუმის ფორმატში გადავიდა. თუ თავიდანვე გეზს ონლაინ რეჟიმზე ავიღებდით, ალბათ, უკეთესი იქნება.

გიორგი ჭეიშვილი: ვთხოვთ შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების ხელმძღვანელს, ქალბატონ მარიამ ჩხარტიშვილს, ამ კონფერენციის ორგანიზების ხელმძღვანელობა.

ვუყაროთ კენჭი. ვინ არის მომხრე, რომ ქალბატონ მარიამ ჩხარტიშვილს დაევალოს ამ კონფერენციის საორგანიზაციო ჯგუფის ხელმძღვანელობა?

ჩატარდა კენჭისყრა.

მომხრე – 16 წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: გრიგოლ ფერაძის საერთაშორისო კონფერენციის, მიძღვნილი დიდგორის 900 წლისთავისადმი, საორგანიზაციო ჯგუფის ხელმძღვანელობა დაევალოს შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების ხელმძღვანელს, ქალბატონ მარიამ ჩხარტიშვილს და სამეცნიერო საბჭოს მომდევნო სხდომაზე მან წარმოადგინოს გეგმა-პროექტი.

დ) ჯულიეტა რუხაძის საიუბილეო წლისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

ლავრენტი ჯანიაშვილი: მიმდინარე წელს სრულდება ქალბატონ ჯულიეტა რუხაძის დაბადებიდან 100 წელი. როგორც ვიცი, ოჯახი იჩენს ინიციატივას და გვპირდება დახმარებასაც ამ ღონისძიების ჩატარებაში.

გაიმართა მსჯელობა, **აზრი გამოთქვას:** გიორგი ჭეიშვილმა, ლავრენტი ჯანიაშვილმა, ქეთევან ხუციშვილმა, ვალერიან ვაშაკიძემ.

გიორგი ჭეიშვილი: ბატონ ნიკოლოზ გურგენიძის დახმარებით დაგვიკავშირდა ქალბატონი ნუნუ ბენდუქიძე, შეგვახსენა, რომ 9 ივლისს ქალბატონ ჯულიეტა რუხაძის დაბადებიდან 100 წელი სრულდება და ამ ღონისძიების ჩატარებაში მხარდაჭერის სურვილიც გამოთქვა.

ქეთევან ხუციშვილი: 9 და 10 ივლისს დაგეგმილი გვაქვს კონფერენცია, რომელიც იმის მიხედვით გაიმართება, თუ როგორი იქნება ეპიდსიტუაცია, ან ჩატარდება აუდიტორიაში, ან - ზუმის ფორმატში. ღონისძიების სახელწოდება იქნება – *„ქალბატონ ჯულიეტა რუხაძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია – ეთნოგრაფიული კვლევების ისტორია და პერსპექტივები საქართველოში“*. საორგანიზაციო ჯგუფში, ძირითადად, საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილების წევრები არიან. ჩვენ გავამზადეთ საინფორმაციო წერილი, მეტიც, წარმოგვიდგენია უკვე თემატური სექციები, პლენალური სხდომა მთლიანად ქალბატონ ჯულიეტას ღვაწლს და მის ნაშრომებს მიეძღვნება, გვაქვს თემები, ეთნოგრაფიული კვლევების ისტორია საქართველოში, ქართველი ეთნოლოგების შემოქმედება და ეთნოგრაფიული კვლევები და თანამედროვე გამოწვევები, თავისი სამიზნე ჯგუფებით. გეგმა-პროექტი უკვე მზად არის. ეს იქნება ღია კონფერენცია და დათქმული გვაქვს თეზისების მიღებისა და მათი განხილვის ვადები. როგორც უკვე მოგახსენეთ, ქალბატონ ნუნუ ბენდუქიძესთან ჩვენ გვაქვს კომუნიკაცია და ის საქმის კურსშია. რადგან ქალბატონი ჯულიეტა რუხაძე საქართველოს ეთნოლოგიის განხრით მუშაობდა ჩვენი განყოფილება, მემკვიდრეობად მივიჩნევთ თავს და ვინც საჭიროდ მიიჩნევს, რომ უნდა იყოს საორგანიზაციო ჯგუფში სიამოვნებით ჩავრთავთ. ვფიქრობთ, 1 ივნისისთვის დამთავრებული იქნება თეზისების მიღება. ივნისში დამუშავდება პროგრამა. ჩამოწერილი გვაქვს სია, თუ ვის დაეგზავნება თეზისები, ბათუმის უნივერსიტეტში, ქუთაისის უნივერსიტეტში, იმ ინსტიტუტებში, სადაც ეთნოლოგიური მიმართულებებია და სხვა. შესაძლებელია, კონფერენციაში მონაწილეობა მიიღონ დოქტორანტებმაც.

დაადგინეს: მიმდინარე წლის 9-10 ივლისს ჩატარდეს საიუბილეო ღონისძიება: *„ქალბატონ ჯულიეტა რუხაძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია – ეთნოგრაფიული კვლევების ისტორია და პერსპექტივები საქართველოში“*.

ე) საუბრები ეთნოლოგიაზე.

ლავრენტი ჯანიაშვილი: გასულ წელს პირველად ჩატარდა დისკუსია *„საუბრები ეთნოლოგიაზე.“* ვფიქრობთ, 2021 წელსაც გავაგრძელოთ. ამაში ჩვენი კოლეგებიც დაგვეხმარებიან. თხოვნა გვექნება, შევარჩიოთ თემა რაზეც გვექნება დისკუსია. დავგზავნი საინფორმაციო წერილებს, რათა ყველამ თავისი მოსაზრება გამოთქვას.

გაიმართა მსჯელობა, **აზრი გამოთქვას:** ლავრენტი ჯანიაშვილმა, ქეთევან ხუციშვილმა.

დაადგინეს: 2021 წელს გაგრძელდეს დისკუსია „საუბრები ეთნოლოგიაზე“.

ვ) გიორგი მელიქიშვილის კითხვანი.

ლავრენტი ჯანიაშვილი: ბატონი გიორგი მელიქიშვილისადმი მიძღვნილი კითხვანის ინიციატორი და მისი ორგანიზატორიც იმედი გვაქვს, ბატონი ლევან გორდეზიანი იქნება.

ლევან გორდეზიანი: როდესაც თავიდან იდეა გაჩნდა, იგულისხმებოდა, რომ ჩვენ გარკვეული პერიოდულობით ჩამოგვეყვანა ცნობილი ასირიოლოგები, ურარტოლოგები და მათი მონაწილეობით ჩატარებულიყო შეხვედრები. სანამ პანდემიამ, გამიჭირდება თქმა, მაგრამ უახლოეს ხანებში მოგაწვდით იდეებს, რა ფორმატით შეიძლება ეს გაკეთდეს, ვიდრე ის ფორმატი შევა ძალაში, რომელზედაც ვფიქრობდით თავიდან. სამეცნიერო საბჭოს შემდგომ სხდომაზე მოგახსენებთ ჩემ აზრს.

გაიმართა მსჯელობა, **აზრი გამოთქვას:** ლავრენტი ჯანიაშვილმა, ნუნუ მინდაძემ, ვალერიან ვაშაკიძემ, მარიამ ჩხარტიშვილმა.

ნუნუ მინდაძე: წელს, 4 თებერვალს, ნანა ხაზარაძეს შეუსრულდა საიუბილეო – 90 წელი. იქნებ ინსტიტუტს აღენიშნა ეს თარიღი.

ლევან გორდეზიანი: ის ღონისძიებები, რაც აკადემიაში იყო დაგეგმილი, გადაიდო. საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა ითავა ქალბატონ ნანა ხაზარაძისადმი მიძღვნილი ღონისძიების ჩატარება, რომელშიც ნანა ბახსოლიანი იყო ჩართული. ჩვენ გავუგზავნეთ მათ წერილი.

ვალერიან ვაშაკიძე: გვიან შემოდგომაზე იქნებ გავაკეთოთ ერთი საღამო და აღვნიშნოთ. გარდა ამისა, ვფიქრობ გიორგი მელიქიშვილისადმი მიძღვნილი კითხვანის თაობაზე აჩქარება არ ივარგებს. ბატონი გიორგი იმ დონის მეცნიერი იყო, რომ მისდამი მიძღვნილ ღონისძიებას დაამშვენებდა უცხოელი სტუმრის ჩამოსვლა. გეგმის წარმოდგენას წინ არ უდგას არაფერი, მაგრამ იქნებ გადაიდოს.

ლევან გორდეზიანი: დაგეთანხმებით, ჩანაფიქრი, რომელიც გვქონდა, პანდემიის გამო ვერ შესრულდება. ხედვას, რა თქმა უნდა, წარმოვადგენ.

დაადგინეს: დროებით გადაიდოს ბატონი გიორგი მელიქიშვილისადმი მიძღვნილი კითხვანის ჩატარება.

ზ) ღონისძიება საქართველოს ოკუპაციის 100 წლისთავთან დაკავშირებით.

გიორგი ჭეიშვილი: ელდარ ბუბულაშვილმა ერთ-ერთ სხდომაზე გააჟღერა მოსაზრება და ბატონმა მიხეილ ბახტაძემაც მოგვაწოდა იდეა და გამოითქვა სურვილი, რომ

გამოხმაურება გავაკეთოთ საქართველოს ოკუპაციის 100 წლისთავთან დაკავშირებით. ცხადია, ეს 25 თებერვალს ვერანაირად ვერ მოესწრება. იდეა იყო, რომ ეს ღონისძიება კავკასიის მასშტაბით ჩატარებულიყო. ამ საქმეში ჩართულია ჩვენი ელჩი რუმინეთში, ბატონი ნოკოლოზ ნიკოლოზიშვილი და იდეაც მისგან მოდიოდა. ამ საუბრებში ჩართული იყო ბატონი ჯაბა სამუშიაც, ჩაერთო კავკასიის ინსტიტუტიც და მე დავეთანხმე, რომ ჩვენი ინსტიტუტი იყოს ამ ღონისძიების ორგანიზატორი, რომელიც სავარაუდოდ წლის ბოლოს გაიმართება. თუ საბჭო წინააღმდეგი არ იქნება, მინდა ბატონ ავთანდილ სონდულაშვილს ვთხოვო, რადგან მისი განყოფილების პროფილია, რომ იფიქროს როგორ ჩავატაროთ ეს ღონისძიება. ცხადია, ყველაფერში დავეხმარებით. სომხებს უკვე ველაპარაკე და მათი ისტორიის ინსტიტუტი მზად არის მიიღოს მონაწილეობა, აგრეთვე ჩვენი კოლეგები დაგვეხმარებიან დავუკავშირდეთ აზერბაიჯანელ და ჩრდილოკავკასიელ კოლეგებს. მათი პასუხი ჯერ არ ვიცით, მაგრამ იმედი გვაქვს, ჩაერთვებიან.

გაიმართა მსჯელობა, **აზრი გამოთქვას:** ლავრენტი ჯანიაშვილმა, ვალერიან ვაშაკიძემ, ლევან გორდეზიანმა, ეკა კვაჭანტირაძემ, ქეთევან ხუციშვილმა, ავთანდილ სონდულაშვილმა, მარიამ ჩხარტიშვილმა

ლევან გორდეზიანი: ჩრდილო–კავკასიელები ოკუპაციას ემახიან ამ ყველაფერს?

გიორგი ჭეიშვილი: სომხები უკვე ასე თვლიან, რომ ბოლშევიკებმა წაართვეს არწახი. რამდენიმე წლის წინ ერთ–ერთ აქტიურ ანტიბოლშევიკს, გვარი აღარ მახსოვს, დიდი ძეგლიც დაუდგეს ცენტრალურ მოედანზე და თავისი მფარველების უკმაყოფილებაც გამოიწვიეს. ასე რომ, რაღაც იდეები მათაც აქვთ.

ვალერიან ვაშაკიძე: რას ვარქმევთ? „რუსეთი და კავკასია“? მხოლოდ მეოცე საუკუნის პერიოდით ვიფარგლებით?

გიორგი ჭეიშვილი: მეცხრამეტე საუკუნის დასასრული - მეოცე საუკუნის დასაწყისი. სათაური იქნება ნეიტრალური.

ეკა კვაჭანტირაძე: პოლიტიკურად ძალზე რთული საკითხი იქნება. თუ ოკუპაციის 100 წლისთავს ეძღვნება გაკეთებულიყო სამხრეთ–კავკასიური ურთიერთობები, თუმცა, ესეც ძალიან რთული იქნება ამ სიტუაციაში. რუსულ–კავკასიური ურთიერთობა სულ სხვა საკითხია.

ვალერიან ვაშაკიძე: კავკასიის თემა დააბნევს ჩვენ მეზობლებს.

გიორგი ჭეიშვილი: კავკასიის თემამ იმიტომ წამოიწია, რომ შესაძლოა, ყოფილიყო საგრანტო კონკურსი კავკასიაში, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ამ განაცხადის შეტანა.

ქეთევან ხუციშვილი: იდეა, რასაკვირველია, გასაგებია, და რა თქმა უნდა, ამ თემაზე საჭიროა კონფერენციაც და მსჯელობაც. მაგრამ მიძღვნა, რომ ვუძღვნით ოკუპაციის 100 წლისთავს უხერხულად მეჩვენება, ვზეიმობთ თუ რა? უბრალოდ განვიხილავთ ამ

საკითხს. თუ ეს მიძღვნა არ იქნება, ასეთი შემთხვევაში ჩვენ ჩრდილო-კავკასიელებს ვაძლევთ საშუალებას ინტერესის შემთხვევაში ჩაერთონ. მართლაც რთული საკითხია, მე მაქვს ურთიერთობა ჩვენ ჩრდილო-კავკასიელ კოლეგებთან, ისინი ისტორიკოსები არ არიან, მაგრამ ისტორიკოსებთან კიდევ უფრო მეტია ეს წნეხი. ერთია რას ფიქრობენ, და სულ სხვაა, მით უმეტეს საქართველოში რას იტყვიან. არ ვიცი მათთვის რამდენად მისაღები იქნება ეს საკითხი.

ავთანდილ სონღულაშვილი: რა თქმა უნდა ძალიან რთულია კონფერენციის ჩატარება ამ თემაზე, მაგრამ ოკუპაციის გარდა, ჩვენ სხვა თარიღიც გვაქვს, რაზეც არ გავამახვილეთ ყურადღება 30 წელი სრულდება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან. ჩემი აზრით, ამ თემისადმი მიძღვნილი კონფერენცია უფრო უპრიანი იქნებოდა, ვიდრე ჩვენი დაპყრობის აღნიშვნა.

ლავრენტი ჯანიაშვილი: შეხვედრის დროს, როგორც მახსოვს ვერ შევთანხმდით დასათაურებაზე, საკითხი ღიაა, თემაა ისეთი რომ ამ საკითხებისადმი მიძღვნილი, უმჯობესია კონფერენცია იყოს. საერთო კონფერენციის დასახელებაზე ჯერ საერთო შეთანხმება არ არსებობს. რამდენიმე ორგანიზაცია იქნება, ალბათ, ჩართული.

გიორგი ჭეიშვილი: ბატონო ავთანდილ, თქვენი განყოფილებიდან ვის შეიძლება ვთხოვოთ ამ საკითხის ორგანიზება?

ავთანდილ სონღულაშვილი: რა თქმა უნდა მონაწილეობას მივიღებთ, ჯერ ჩამოვყალიბდეთ. თუ დამოუკიდებლობის აღდგენის 30 წლისთავზე იქნება, ეს პრობლემები არ წამოიჭრება არც სომხეთთან და არც აზერბაიჯანთან, აქ სხვა კუთხით წავა კონფერენცია, ოკუპაციაზეც იქნება შესაძლებელი საუბარი და სხვა თემებზეც. ჩრდილო კავკასია დარჩა რუსეთის შემადგენლობაში და სამხრეთ კავკასიის სამივე რესპუბლიკამ დამოუკიდებლობა აღადგინა, უფრო სწორად, აზერბაიჯანმა შექმნა, სად ჰქონდა მას დამოუკიდებლობა და სომხეთმა და საქართველომ აღადგინა. 30 წლისთავი უფრო მისაღები მგონია.

ლევან გრდუზიანი: სათაურის საკითხი არსებითად ცვლის საორგანიზაციო საქმიანობასაც, არსებითია ამ შემთხვევაში ზუსტად რა გვინდა და სახელსაც რას ვარქმევთ.

ლავრენტი ჯანიაშვილი: ამ შემთხვევაში საკითხი ღიად რჩება. გავერკვეთ კონფერენციის საერთო დასახელებაზე და ჩვენ კოლეგებთან გასაუბრება შეიძლება შედგეს.

3. მიმდინარე საკითხები.

გიორგი ჭეიშვილი: საკითხი 1. პანდემიის გამო, გასულ წელს ინსტიტუტის ბიუჯეტიდან ძალიან ცოტა თანხა იყო ათვისებული. ძირითადად, თანხები დაიხარჯა კრებულების გამოცემაზე, მცირე ნაწილი - ინვენტარის შეძენაზე ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიისათვის და არქივისთვის. დიდი ნაწილი თანხისა ათვისებლობის გამო, ბიუჯეტში დაბრუნდა. ერთ-ერთ სხდომაზე მე მოგახსენეთ, რომ უნივერსიტეტმა

შეგვიძინა ტექნიკა, მაგრამ როგორც ჩანს, სწორედ ვერ გაგვაგებინეს. ტექნიკა უნივერსიტეტმა არ შეიძინა იმის გამო, რომ ტენდერი ჩაატარა გვიან და ტენდერი ჩავარდა. ახალი ტენდერის გამოცხადების დრო კი, აღარ იყო. წლევანდელი ბიუჯეტი არის ძალიან მცირე, სახელფასო ფონდის გარდა, მხოლოდ 17 ათასი არის დამტკიცებული. ჯერ-ჯერობით მხოლოდ ეს არის და თებერვალში ახალ დამტკიცებას ელოდებიან.

გაიმართა მსჯელობა, **აზრი გამოთქვეს:** ქეთევან ხუციშვილმა, ვალერიან ვაშაკიძემ, ლევან გორდეზიანმა, მარიამ ჩხარტიშვილმა.

ქეთევან ხუციშვილი: შემცირებული ბიუჯეტით შემდეგი წლისთვის კიდევ იქნება საშუალება კრებულების ბეჭდვის?

გიორგი ჭეიშვილი: თებერვლის ბოლოს ელოდებიან ახალ დამტკიცებას, და მოგახსენებთ აუცილებლად. საკითხი 2. ტელევიზიით, ალბათ, მოისმენდით, სინოდის დადგენილება იყო, რომ საპატრიარქოს ტელევიზიისთვის დაევალებინათ გადაცემათა ციკლის მომზადება დავით-გარეჯზე. მინდოდა თქვენთვის მეკითხა აზრი რას ფიქრობთ, რამდენად შეიძლება ინსტიტუტის ჩართულობა ამ საქმეში. რომელი განყოფილებებიც ჩათვლის საჭიროდ, გამგებმა იქნებ ჰკითხოთ თანამშრომლებს, რამდენად სურთ ითანამშრომლონ საპატრიარქოს ტელევიზიასთან.

გაიმართა მსჯელობა, **აზრი გამოთქვეს:** ქეთევან ხუციშვილმა, ვალერიან ვაშაკიძემ, ლევან გორდეზიანმა, მარიამ ჩხარტიშვილმა.

ქეთევან ხუციშვილი: მიმაჩნია, რომ ეს ისეთი საკითხია, ინსტიტუტმა აუცილებლად უნდა მიიღოს მონაწილეობა. ასეთ მნიშვნელოვან და საჭირობო საკითხში აუცილებლად უნდა ჩაერთოს ისტორიის ინსტიტუტი.

ვალერიან ვაშაკიძე: ბატონო გიორგი, საისტორიო გეოგრაფიული თვალსაზრისით, თქვენი ჩართულობაც საინტერესო იქნება. 2–3 თემა ნამდვილად უნდა იყოს მიწოდებული. განზე გადგომა ამ დიდი მოვლენისაგან წარმოუდგენელია. ამიტომ უნდა ჩავერთოთ. უნდა ვილაპარაკოთ არგუმენტირებულად, მეცნიერულად. ეს უნდა გააკეთოს ორმა-სამმა მეცნიერმა, ვინც კომპეტენტურია ამ საკითხში.

ლავრენტი ჯანიაშვილი: ბატონო გიორგი, სამეცნიერო საბჭოს სრული მხარდაჭერა გაქვთ ამ საკითხზე.

გიორგი ჭეიშვილი: საკითხი 3. შემოსულ წერილებზე პასუხების გაცემა. ოფიციალურად აუცილებელია პასუხის გაცემა.

გაიმართა მსჯელობა, **აზრი გამოთქვეს:** ლევან გორდეზიანმა, ვალერიან ვაშაკიძემ, მარიამ ჩხარტიშვილმა.

გიორგი ჭეიშვილი: საკითხი 4. ინსტიტუტში შემოვიდა მ. ხომერიკის განცხადება, რომელშიც თსუ-ს რექტორს სთხოვს ისტორიკოსებისა და იურისტებისაგან დაკომპლექტებული კომისიის შექმნას. აღნიშნულმა კომისიამ უნდა შეისწავლოს მის წიგნში: „უტყუარი მტკიცებულებანი დოკუმენტების გამყალბებლებისა და თვითმარქვების წინააღმდეგ,“ განხილული საკითხები. ბატონმა ნიკოლოზ ჯავახიშვილმა უარი განაცხადა აღნიშნული კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მიღებაზე, ამიტომ ბატონ ავთანდილ სონდულაშვილის რეკომენდაციით, ინსტიტუტი წარადგენს ისტორიის დოქტორის, არჩილ კოხრეიძის კანდიდატურას.


ლავრენტი ჯანიაშვილი: „საინსტიტუტო საუბრების“ განახლების შესახებ შეგატყობინებთ. მომავალ პარასკევს, 6 საათზე, ვფიქრობთ გავაგრძელოთ „საინსტიტუტო საუბრები“. შეხვედრაზე ნათია ჯალაბაძე წარმოადგენს თავისი პროექტის შესახებ მოკლე ინფორმაციას, თუ რა ვითარებაა საქართველოს საოკუპაციო ზოლთან.

სხდომამ დაადგინა:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის, 2020 წელს ჩატარებული სამეცნიერო და სხვა საქმიანობა შეფასდეს დადებითად.
2. ინსტიტუტის დაარსებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიება ჩატარდეს 2021 წლის შემოდგომაზე, ოქტომბრის თვეში. დაევალოს ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელს, ბატონ ავთანდილ სონდულაშვილს, სამეცნიერო საბჭოს მომდევნო სხდომაზე წარმოადგინოს, ღონისძიების ჩატარების სავარაუდო გეგმა–პროექტი.
3. გრიგოლ ფერაძის საერთაშორისო კონფერენციის, მიძღვნილი დიდგორის 900 წლისთავისადმი, საორგანიზაციო ჯგუფის ხელმძღვანელობა დაევალოს შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების ხელმძღვანელს, ქალბატონ მარიამ ჩხარტიშვილს და სამეცნიერო საბჭოს მომდევნო სხდომაზე მან წარმოადგინოს გეგმა–პროექტი.
4. მიმდინარე წლის 9-10 ივლისს ჩატარდეს საიუბილეო ღონისძიება: „ქალბატონ ჯულიეტა რუხაძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია – ეთნოგრაფიული კვლევების ისტორია და პერსპექტივები საქართველოში“.
5. 2021 წელს გაგრძელდეს დისკუსია „საუბრები ეთნოლოგიაზე“.
6. დროებით გადაიდოს ბატონი გიორგი მელიქიშვილისადმი მიძღვნილი კითხვანის ჩატარება.

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე:

სამეცნიერო საბჭოს მდივანი:



ლავრენტი ჯანიაშვილი

ლიანა ბითაძე

21. 02. 2021